

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ჩართვა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

ხედვა: სამტრედიის მუნიციპალიტეტი მიმზიდველია ცხოვრებისა და ბიზნესის საწარმოებლად როგორც ქალაქად, ისე სოფლად. შექმნილია ინვესტირებისთვის კარგი გარემო, არსებული ეკონომიკური შესაძლებლობები გამოყენებულია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში.

მიზანი 1.	ბიზნესის მხარდაჭერა და ინვესტირებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.
ამოცანა 1.1	მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ამაღლება და მარკეტინგული მასალების მომზადება.
ამოცანა 1.2	ადგილობრივი წარმოების მათ შორის აგრარული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.
ამოცანა 1.3	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახლის მშენებლობა.
ამოცანა 1.4	მცირე და საშუალო საწარმოებისა და ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების ხელშეწყობა;
ამოცანა 1.5	მუნიციპალიტეტის სოციალური საწარმოების შექმნის სავალდებულო პროგრამები, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს, ასევე მოახდენს სოციალურად დაუცველი ფენების დასაქმებას (ტერიტორიული ფილიალები, საწარმოები სოფლებში);
შედეგი 1.	ახალი შექმნილი სტაბილური სამუშაო ადგილები ბიზნეს სექტორში. სამრეწველო მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციების გაზრდა. ინოვაციური პროდუქტების გამოყენების მიზნით მცირე და საშუალო საწარმოების შესაძლებლობების გაზრდა. განვითარებული ახალი პროდუქტები და სერვისები, მათ შორის რომელთაც საექსპორტო პოტენციალი გააჩნიათ. ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები. გაუმჯობესებული ცხოვრების დონე. ბიზნესის წარმოების გაზრდილი შესაძლებლობები. სოციალური ეფექტის მხრივ პროექტის გახორციელება ხელს შეუწყობს ქალაქისა და ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის როგორც ქვეითად, ასევე ტრანსპორტით გადაადგილებას. ასევე მნიშვნელოვანია პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობაც გაუმჯობესებული გზის საფარი ხელს შეუწყობს საწვავის ხარჯის შემცირებას და მინიმუმამდე დავა გზის ამტვერიანობისა და გამონაბოლქვის რაოდენობა, რითიც გაუმჯობესდება ეკოლოგიური პირობები. მოჰყვება ბიზნეს ლოკაციების განვითარება. უზრუნველყოფილია მოსახლეობისთვის უწყვეტი წყლის მიწოდება და გაუმჯობესებულია ხარისხი. ქალაქის იერსახის

	მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, კომფორტული გარემოს შექმნა და მოსახლეობისთვის ეკონომიკური სარგებლის მოტანა. სოციალური პასუხისმგებლობის ვალდებულება და საგადასახადო შეღავათები, ბიზნეს სუბიექტებში საკანონმდებლო დონეზე.
მიზანი 2.	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის კომფორტულ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.
ამოცანა 2.1	ნარჩენების მართვის სისტემის გამართვა;
ამოცანა 2.2	გარემოს დაცვა და გამწვანება;
ამოცანა 2.3	კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
ამოცანა 2.4	წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია;
ამოცანა 2.5	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება.
	შედეგი 2. მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის ათვისება და მომსახურება ნარჩენების გატანით. დაბინძურებული წყლები გაიწმინდება და არ დაბინძურდება მდინარე რიონი. ჯანდაცვის სერვისებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა. გაუმჯობესებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის უზრუნველყოფილია დამატებითი სოციალური დახმარებით.
მიზანი 3.	მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მხარდაჭერა მათ შორის განათლების კულტურის და სპორტის სერვისების გაუმჯობესება.
ამოცანა 3.1	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.
ამოცანა 3.2	ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა ადგილობრივ კულტურულ ცხოვრებაში.
ამოცანა 3.3	განათლების სერვისების გაუმჯობესება.
	შედეგი 3. აშენდება თანამდეროვე სტანდარტების ახალი საბავშვო ბაღი; აღნიშნული პროექტის განხორციელებით ბაღი მოემსახურება დაახლოებით 80 პირდაპირი და 150 არაპირდაპირ ბენეფიციარს, გაუმჯობესდება ეკონომიკური მდგომარეობა. ახალგაზრდა თაობა მეტად იქნება ჩართული სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ აქტივობაში. ხელი შეეწყობა გამოვლინდეს წარმატებული სპორტსმენები და კულტური მოღვაწეები.
მიზანი 4.	ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარების ხელშეწყობით.
ამოცანა 4.1	სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება;
ამოცანა 4.2	ფერმერთა ცოდნის დონის სისტემატური ამაღლების სტიმულირება;
ამოცანა 4.3	მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება და კატეგორიზაცია;
ამოცანა 4.4	საირიგაციო და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია;
ამოცანა 4.5	ნიადაგის ნაყოფიერების მენეჯმენტის სისტემის შექმნა.

შედეგი 4.	განახლებული საკადასტრო მონაცემები უზრუნველყოფს ფართობების ოპტიმალურად გამოყენებას. სრულად არის გამოყენებული სახნავ სათესი ფართობები. წარმოებული აგრარული პროდუქცია გადამუშავდება საბოლოო სახით და რეალიზდება როგორც მზა პროდუქცია. მეცხოველეობის დარგში ვეტერინალური პრობლემები მინიმუმამდეა დასული, გაზრდილია პირუტყვის წველადობა. მიწის ნაყოფიერების ამაღლებით და სრულფასოვანი აგროტექნიკის გამო გაზრდილია მოსავლიანობა.
მიზანი 5.	ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია
ამოცანა 5.1	მუნიციპალიტეტის სავაჭრო ცენტრად ქცევის ხელშეწყობა ადგილობრივი ბაზრების მოწესრიგებით;
ამოცანა 5.2	ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსების პოპულარიზაცია;
ამოცანა 5.3	პარკებისა და სკვერების გამწვანება, ტურისტული-გასართობი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
ამოცანა 5.4	ბალნეოლოგიური კურორტების რესურსის გამოყენების ხელშეწყობა;
ამოცანა 5.5	ინვესტიციების მოძიების მიმართულებით აქტიური მუშაობა.
შედეგი 5.	მუნიციპალიტეტი არის რეგიონის ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრი, რითაც გაიზარდა მოსახლეობის შემოსავლები და ხელი შეეწყო პროდუქტების რეალიზაციას. მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი პოპულარიზებულია, რის შესაბამისადაც გაიზარდა მუნიციპალიტეტში ტურისტების ნაკადი. ბალნეოლოგიური კურორტების ტურისტული რესურსი ათვისებულია. გასართობი-ტურისტული ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, რითაც სარგებლობენ, როგორც ადგილობრივები, ისე ტურისტები. გაზრდილია ტურისტული რესურსის მიწოდებაში ჩართული მოსახლეობის წილი.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1. ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონის დასავლეთ ნაწილში და ესაზღვრება სამეგრელოს და გურიის მხარეებს; კერძოდ, აბაშის, ლანჩხუთის, ვანის, ხონის, წყალტუბოს და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. მისი ძირითადი ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა განლაგებული, ხოლო მცირე ნაწილი საჯავახოს ზეგანზეა შეფენილი, სადაც ძირითადად მთიანი სოფლებია განლაგებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორია **36,429** ჰა–ს შეადგენს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სარკინიგზო და საავტომობილო კვანძს. მუნიციპალიტეტზე გადის საავტომობილო მაგისტრალები **ს1** და **ს12**, საქართველოს ცენტრალური რკინიგზის **31** კილომეტრიანი მონაკვეთი. მანძილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრსა და ქუთაისს შორის **33.3** კმ-ია, ხოლო ქალაქ სამტრედიასა და თბილისს შორის - **260** კმ-ია; ქალაქი სამტრედია ფოთის პორტიდან დაცილებულია **65** კმ-ით, ხოლო ბათუმის პორტიდან **113** კმ-ით. ქალაქ სამტრედიიდან **11** კილომეტრში მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მდინარე რიონის გარშემოა განლაგებული, რომელიც მას შუაზე კვეთს. მუნიციპალიტეტის ფარგლებში რიონის სიგრძე **35** კმ-ია. მდინარის მარჯვენა შენაკადებია ცხენისწყალი, გუბისწყალი და ჭურთავა, ხოლო მარცხენა შენაკადებია ჭოგნარა და ხევისწყალი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი დაყოფილია **15** ადმინისტრაციული ერთეულად. მუნიციპალიტეტში **56** დასახლებაა, მათ შორის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და **54** სოფელი, საიდანაც **27** მაღალმთიანი სოფელია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სამტრედია. (იხ. დანართი N 1)

სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოიპოვება სხვადასხვა ბუნებრივი რესურსები. მუნიციპალიტეტში უხვად არის ქვიშა-ხრეში და ინერტული მასალები, აგრეთვე სხვადასხვა სამშენებლო რესურსები, როგორცაა სააგურე თიხები. მუნიციპალიტეტი მდიდარია მტკნარი წყლის რესურსებით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა **2019** წლის **1** იანვრის სტატისტიკით შეადგენს **45,0** ათას კაცს, რაც მთლიანად რეგიონის მოსახლეობის **9%**-ია. მათგან ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, **56%**-ია, ხოლო **4%** ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. მოსახლეობის რიცხოვნობა ბოლო **5** წლის მანძილზე (**2015-2019**წწ.) შემცირდა **7%**-ით. კლებადი ტენდენციით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (**-7%**) და **2019** წლის **1** იანვრის მონაცემებით შეადგინა **123,6** კაც/კვ.კმ-ზე.

აღნიშნული მიგრაციული დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში განპირობებულია უმუშევრობის მაღალი დონით, ამასთან – დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება აიძულებს მოსახლეობის დიდ ნაწილს ემიოს სამსახური საზღვარგარეთ, ხოლო საზღვარგარეთ მიღებული შემოსავლით საქართველოში დარჩენილი ოჯახები არჩინოს. ფინანსური დახმარება, რომელსაც ქართველი ემიგრანტები თავიანთ ოჯახებს უგზავნიან, მათი

შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. შრომითი მიგრაცია განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით: მიმღებ ქვეყნებში არსებული მაღალი მოთხოვნა მუშახელზე და მშობლიურ ქვეყნებში მუშახელის ჭარბი ოდენობა და უმუშევრობის მაღალი დონე. შესაბამისად, მუშახელს, რომელიც დაუსაქმებელია ან არასრულად არის დასაქმებული მშობლიურ ქვეყანაში აქვს სტიმული დატოვოს ქვეყანა.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი **15+** ასაკის მოსახლეობაში არის **66%**. **2018** წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ბიზნეს სუბიექტების წილი რეგიონულ მაჩვენებელთან მიმართებაში **8%-ია** და **1%-იანი** ზრდით ხასიათდება (**2015 - 2018წწ.**). სექტორულ კრილში თუ განვიხილავთ, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მოცულობა უკავია საბითუმო და საცალო ვაჭრობას, თუმცა **2015** წლიდან **2018** წლამდე **21%-იანი** კლება შეინიშნება. კლებადი მაჩვენებლით ხასიათდება დამამუშავებელი მრეწველობაც (**-17%**). არასტაბილური ზრდა არის განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებში (**4%**) და მუნიციპალიტეტზე მთლიანი რეგიონის მაჩვენებლის **7%** მოდის. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა დასაქმებულია საჯარო სტრუქტურებში, განათლებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში და სატრანსპორტო სექტორში. ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს რკინიგზა.

სამტრედია იმერეთის ყველაზე ურბანიზებული მუნიციპალიტეტია, ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემდეგ და ყველაზე ურბანიზებული სათემო მუნიციპალიტეტი საქართველოში ბორჯომის და ხაშურის მუნიციპალიტეტების შემდეგ.

2.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში განვითარებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოება და გადამამუშავება, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი. მრეწველობის დარგები სამტრედიის მუნიციპალიტეტში (მშენებლობა, სამთომოპოვებითი მრეწველობა, გადამამუშავებელი მრეწველობა) სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მეტად განვითარებულია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო ორი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი ორი კომპანია, რომელმაც განახორციელა ერთი მილიონი ევროს ინვესტიცია და დაასაქმა **75** ადამიანი, კომპანია აწარმოებს სპორტული მისურებსა და შორტებს, რომლებიც გააქვს საექსპორტოდ და მეორე კომპანია რომელშიც სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობით ჯამში განხორციელდა **5,0** (ხუთი) მილიონი ლარის ინვესტიცია. კომპანია აგრო პროდუქციას აწარმოებს (სალათის ფოთოლი, კიტრი, პომიდორი და ა.შ). სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იწარმოება ელექტროენერგია. მუნიციპალიტეტში მდებარეობს ვარციხეჰესი, რომელიც ოთხი გენერატორისაგან შედგება და სრული დატვირთვის შემთხვევაში საათში გამოიმუშავებს **80** მეგავატ ენერჯის.

2019 წლის მონაცემებით სამტრედიაში მოქმედებს **5** ბანკი და **7** მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. აღნიშნული საფინანსო ინსტიტუტების მიერ ძირითადად დაკრედიტება ხდება სასოფლო-სამეურნეო, მცირე და საშუალო ბიზნესის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი ერთგვარი სავაჭრო ცენტრია უახლოესი მუნიციპალიტეტებისათვის: აბაშა, ხონი, ვანი, სენაკი, ჩოხატაური, წყალტუბოს ნაწილი, ლანჩხუთი. ქალაქ სამტრედიაში განთავსებულ აგრარულ ბაზარში ხორციელდება

ახლომდებარე მუნიციპალიტეტებში წარმოებული ისეთი პროდუქციის რეალიზება, როგორცაა ბოსტნეული, ხილი, რძის ნაწარმი (რძე, ყველი, სულგუნი, ხაჭო, ნადული), ხორცი (როგორც ფრინველის ასევე პირუტყვის). აღნიშნული მუნიციპალიტეტებიდან, სამტრედიაში დადიან საყოფაცხოვრებო ინვენტარის შესაძენად (მაგალითად. ტანსაცმელი. ავეჯი, ტექნიკა, და.ა.შ). მუნიციპალიტეტში, აგრარული პროდუქციის შესაძენად თუ სარეალიზაციოდ დადიან მოშორებული მუნიციპალიტეტებიდანაც, მაგალითად, ახალციხე, ახალქალაქი, მარნეული, ბათუმი და გორი.

მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის მკვეთრად მატებამ გამოიწვია ავტო-ტექ მომსახურების სფეროს განვითარება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო პერიოდში გახსნილი სწრაფი კვების ობიექტების, კაფე-ბარების, სარიტუალო დარბაზების, სავაჭრო ობიექტების რაოდენობა.

მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციური რეგიონის უახლოესი მუნიციპალიტეტებისთვის თავისი მდებარეობიდან გამომდინარე იქცეს დიდ ბაზრად, რომელიც ერთგვარ სავაჭრო ცენტრის ფუნქციებს შეასრულებს უახლოესი მუნიციპალიტეტებისათვის.

სოფლის მეურნეობა - მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა საკმაოდ განვითარებულია და ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის ძირითადი წყაროს წარმოადგენს. მისი გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატი იძლევა საშუალებას განვითარდეს სხვადასხვა დარგები, როგორცაა: მესიმინდეობა, მეთხილეობა, მეთევზეობა, მესათბურეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და მეფრინველეობა. ცენტრალურ გზაგასაყარზე მდებარეობა მუნიციპალიტეტს ანიჭებს მნიშვნელოვან უპირატესობას სხვადასხვა მიმართულების გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებისათვის. სულ მუნიციპალიტეტში აღრიცხულია **656** ფერმერული მეურნეობა.

მთლიანი ფართობის **(36,429ჰა) 56%** სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს წარმოადგენს, საიდანაც კერძო საკუთრებაშია **15,778** ჰა, დანარჩენი ფართობი მოსახლეობის კერძო საკუთრებას წარმოადგენს. დანიშნულების მიხედვით მისი გამოყენება შემდეგნაირად ხდება: საძოვარი, **2,898** ჰა, სახნავი - **12,844**, მრავალწლიანი კულტურები - **3,870** ჰა, სათბურების ქვეშა დატვირთული სავარგულების დაახლოებით **5% (700** მდე ჰა)

მუნიციპალიტეტში გავრცელებულია ყვითელ-ყომრალი, სუბტროპიკული ეწერი, სუბტროპიკული ეწერ-ლებიანი და ალუვიური ნიადაგები. არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ფონზე ნიადაგები ხასიათდება საშუალო და დაბალი ნაყოფიერებით. ადგილი აქვს მიწის ფონდის ნაწილობრივ დეგრადაციას და დანაკარგებს დაჭაობების, გამოფიტვის, მიწათსარგებლობის კატეგორიის შეცვლის, მეწყრული მოვლენების და მდინარეების ნაპირის გარეცხვის შედეგად. წყლისმიერი ეროზიით დაზიანებულია **1,300** ჰა, აქედან სუსტი **300** ჰა, საშუალო **1,000** ჰა. ქარისმიერი ეროზია არ აღინიშნება. ყოველწლიურად საშუალოდ სახნავი მიწების **(12,840 ჰა) 63%** მუშავდება.

არ ხდება ადგილობრივი ხილოვანი კულტურების ქიმიური დამუშავება სხვადასხვა პრეპარატებით, შესაბამისად იგი არ გამოირჩევა მაინდამაინც სახარბიელო სასაქონლო სახით, ამიტომ, მიუხედავად მაღალი მოსავლიანობისა, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის რეალიზაცია ხდება ბაზარზე, ძირითადად ახალი ხილის სახით, გარკვეული რაოდენობა გამოიყენება ოჯახებში საწებლების, კომპოტების და ჯემების დასამზადებლად, დანარჩენი ხეხილი ძირითადად პირუტყვის საკვებად გამოიყენება.

საშუალოდ წლიურად გამოუყენებელი რჩება სახნავი ფართობების **27%** (დაახლ **4,700** ჰა), რაც გამოწვეულია ნიადაგის დეგრადაციის, სარწყავი სისტემების არასრულფასოვანი მუშაობის და ნიადაგის ნაყოფიერების სისტემატური გაუარესების გამო.

გარდა ამისა, პრობლემატურია სიმინდის მარცვლის აღების შემდგომი ტექნოლოგიის დაცვა. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტი კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს და გამოირჩევა მაღალი ტენიანობით, გართულებულია სიმინდის მარცვლის შრობის პროცესი და უარესდება მოსავლის ხარისხი. სიმინდის მეურნეობის შემდეგი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შეიქმნას **10-15** ტონიანი სიმინდის საშრობი.

მეცხოველეობა: მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაშია **22 000**-მდე სული მსხვილფეხა პირუტყვი (**11 218** ფურით და ფურკამეჩით) **3 900**- მდე ღორი, **1600**-მდე თხა ცხვარი და **300 000** ფრთა ფრინველი, საწარმო დანიშნულებით მსხვილფეხა პირუტყვი და გარკვეულწილად ფრინველი (მეფრინველეობის რამდენიმე საოჯახო ფერმა და საწარმო), გამოიყენება, მსხვილფეხა პირუტყვიდან ძირითადად ყველის და სულგუნის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ, ასევე ქუთაისის და თბილისის ბაზარზე, მერძევეობაში გარკვეულწილად აწყობილია სადისტრიბუციო ქსელი და მოქმედებს რამდენიმე რძის გადამამუშავებელი საწარმო. მუნიციპალიტეტის მასშტაბით წლიურად საშუალოდ იწარმოება **490** ტონა რძე, **386** ტონა ყველი, **91** ტონა მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი, **56** ტონა ფრინველის ხორცი, **230 000** ც წიწილი და **2 200 000** კვერცხი.

მეფუტკრეობა: მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელი არ არის მეფუტკრეობის განვითარებისთვის, თაფლოვანი კულტურების მცირე რაოდენობა და საავტომობილო მაგისტრალთან სიახლოვე, ბაზარზე ნაკლებად მიმზიდველს ხდის მუნიციპალიტეტში წარმოებულ თაფლს.

მეთევზეობა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული **18** თევზსაშენი ტბორიდან, რომლის სარკის ფართობი **191** ჰა-ს შეადგენს, ფუნქციონირებს **17**, რომელთა წარმადობა ერთი წლის პერიოდში შეადგენს **84** ტონა ტბის თევზს. მუნიციპალიტეტში არსებული წყლის რესურსი საშუალებას იძლევა განვითარდეს სატბორე მიმართულების მეთევზეობა და წარმოებულ იქნას გაცილებით მეტი რაოდენობის თევზი, მაგრამ საკვებ ბაზარზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და ხარისხიანი სანაშენე ლიფსიტების დეფიციტი განვითარებისათვის არახელსაყრელი გარემოს ფორმირებას უწყობს ხელს და მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები პრობლემები:

- ნაკვეთების დაბალმოსავლიანობა, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზანმიმართული ღონისძიებების არარსებობით, მეორეს მხრივ არაეფექტური საირიგაციო სისტემების გამო. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ გასარწყავიანებულ ფართობებში, გადაჭარბებული ნორმებით რწყვის გამო, მასიურად გვხვდება ინტენსიური ირიგაციული ეროზია. შესაბამისად საჭიროა კომპლექსური მიდგომა მელიორაცია ირიგაციის მხრივ;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირე. მუნიციპალიტეტში არსებული მექანიზაციის რეგიონალური ცენტრი, რომელიც რამდენიმე მუნიციპალიტეტს ემსახურება, ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო

ტექნიკაზე, რაც გარკვეულ წილად დაუმუშავებელი მიწების მაღალი კოეფიციენტის წინაპირობაა;

- პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება გადამამუშავებას, პროდუქციის დიდი ნაწილი ნედლეულის სახით გაედინება მუნიციპალიტეტიდან და გადამამუშავდება სხვა რეგიონებში;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია;
- საირიგაციო და სამელიორაციო სისტემის რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემა, რომელიც ემსახურება სამტრედიის მუნიციპალიტეტში **6 080** ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს საჭიროებს რეაბილიტაციას, რომლის მეშვეობითაც გასარწყავიანდება დარჩენილი **4,800** ჰა. გარდა ამისა საირიგაციო სერვისის სწორი მენეჯმენტი ხელს თავიდან აიცილებს გადაჭარბებული რწყვის ტენდენციას და შეანელებს დაჭაობების პროცესს, ხოლო სადრენაჟო სისტემის აღდგენით შესაძლებელი იქნება დამატებით **1000**-ზე მეტი ჰა-ს დაშრობა და სავარგულად გამოყენება;
- ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის შექმნა და სრულფასოვანი დატვირთვა ხელს შეუწყობს მოსახლეობას ზუსტად განსაზღვრონ მიწის შემადგენლობა, სწორად დაგეგმონ ოპტიმალური კულტურა და მიზანმიმართული ღონისძიებებით სწორად არეგულირონ ნიადაგის ნაყოფიერება კონკრეტული დარგის განვითარებისათვის;
- სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეეწყოს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას (მემინდვრეობა-მეცხოველეობა-მელორეობა-მეფრინველეობა), რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის რაოდენობას;
- ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და ფერმერების დონეზე ექსტენციური მომსახურეობის ეფექტური მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და ხარისხს.

ტურიზმი და მომსახურების სფერო - სამტრედიის მუნიციპალიტეტში ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ამ ეტაპზე არ ასრულებს. თუმცა არის არსებული ტურისტული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობა. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი

ობიექტებიდან აღსანიშნავია ბალნეოლოგიური კურორტები: გორმალა (სამკურნალო დანიშნულება - ართროლოგია) და „ბალნეოლოგიური კურორტი სამტრედია“, (სამკურნალო დანიშნულება: ართროლოგია, ნევროლოგია და გინეკოლოგია).

ბალნეოლოგიური კურორტი სამტრედია, რომელიც წლების განმავლობაში დამსვენებელთა სიმრავლით გამოირჩეოდა, არის უნიკალური, **65-გრადუსი ტემპერატურის** მქონე მინერალური წყალითა და **3,0(სამი) მილიონი ლიტრი** სადღეღამისო დებეტი. კურორტი გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების, ძვლების, კუნთების, სხვადასხვა წარმოშობის ნერვული პერიფერიული სისტემის ქრონიკული დაავადებების, კანის სნეულებებისა და ჰიპერტონული დაავადებების სამკურნალოდ. კურორტს გააჩნია **10** სააბაზანო და **4** სართულიანი საძილე კორპუსი **150** დამსვენებელზე. არსებული ინფრასტრუქტურა მთლიანად ამორტიზებულია.

მუნიციპალიტეტში არ არის, არც დაცული ტერიტორიები და არც ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლები. თუმცა მუნიციპალიტეტში არის ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლები.

სამტრედიას გარკვეული პოტენციალი აქვს ტრეკინგის (სალამქრო), საცხენოსნო, ღვინის, გასტრონომიული ტურიზმის განვითარებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა სოფლები: ტოლები, ნოღა, ოფეთი, წიაღობანი, თხილგანი და იანეთი.

მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით მოქმედებს სამი სასტუმრო: სასტუმრო „ობოლა“, რომელიც წლის განმავლობაში **2500-მდე** ადამიანს ემსახურება, სასტუმრო „ბრენდი პლიუსი“ წლის განმავლობაში **1500-მდე** ადამიანს ემსახურება და სასტუმრო „ცისკარი“, რომელიც გათვლილია ერთდროულად თვრამეტი ადამიანის მომსახურებაზე და წელიწადში **800** ადამიანს ემსახურება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების შემაერთებელი მაგისტრალის გასწვრივ ტურისტული მომსახურების სისტემის (საზვევბა, განთავსება, ინფორმირება, დასვენება, გართობა) გეგმაზომიერი განვითარების დიდი შესაძლებლობა არის.

სასურველია შემოდგომისა და გაზაფხულის პერიოდებში სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებების - ფესტივალების, დღესასწაულების, კონფერენციების, სპორტული შეჯიბრებების მოწყობა ტურისტული სეზონის გახანგრძლივების და ტურისტების რაოდენობის ზრდის მიზნით.

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმში მოქმედი კომპანიებისა და კერძო მეწარმეების ხელშეწყობა საჭიროა კურორტების გორმალასა და სამტრედიის ტურისტული (სამკურნალო-გამაჯანსაღებელი) პოტენციალის სრულყოფილი გამოყენებისთვის.

2.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ძირითად პრობლემას წარმოადგენს, როგორც საგზაო ინფრასტრუქტურა, ისე მაღალსართულიანი ბინების მდგომარეობა, ენერგო ინფრასტრუქტურა და წყალმომარაგება. თუმცა ბოლო წლების, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსით, ისე ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით განხორციელდა რიგი პროექტები, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ქალაქის ტერიტორიაზე კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, არხების

წმენდა, ჩატარდა სხვადასხვა ჰიდრომელიორაციული სამუშაოები. მასშტაბურად მიმდინარეობს მრავალსართულიანი ბინების მოწესრიგება. ასეთი ბინების რიცხვი მუნიციპალიტეტში **124** -ია. მოხდა ხიდებისა და ბოგირების როგორც განახლება, ასევე მშენებლობა, შედეგად, აშენდა **3** ახალი ხიდი და მოწესრიგდა **5** ხიდი. თუმცა კვლავ ბევრი პრობლემა რჩება.

მუნიციპალიტეტის სოფლებში არ არის ცენტრალიზებული წყალმომარაგება, თუმცა შესაძლებლობიდან გამომდინარე მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტების განხორციელება წყალმომარაგების ცენტრალურად უზრუნველყოფის მიზნით. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არ არის ინტერნეტი ხელმისაწვდომი. ინტენსიურად მიმდინარეობს შესაბამისი კომერციული კომპანიების მიერ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ინტერნეტზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა იზრდება.

სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის გზების საერთო სიგრძე **418,4** კმ-ია. მათ შორის ასაფალტბეტონით დაფარულია - **105**კმ, გრუნტით კი - **313,4** კმ. ქალაქის გზების სიგრძე **127**-კმ-ია, საერთო გზების **30,4%**, აქედან მოწესრიგებულია **60** კმ, რომელიც ქალაქის გზების **47%**-ს შეადგენს. მოხრეშვას საჭიროებს **15**-კმ., ხოლო მოასფალტებას - **52** კმ. გზა. მთლიანი საგზაო ინფრასტრუქტურის **23%**-ია (**95**კმ.) მოწესრიგებული.

სასოფლო ტიპის დასახლებების გზების სიგრძე **291** კმ-ია, რაც მთლიანი გზების **69,6%**-ს შეადგენს. სოფლის გზებიდან მოწესრიგებულია **35** კმ., ხოლო მოწესრიგებას საჭიროებს **256** კმ., საიდანაც საჭიროა **150** კმ.-ის მოხრეშვა და **106** კმ.-ის მოასფალტება.

ბოლო წლების გამავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები. აგრეთვე ინტენსიურად ხორციელდება სოფლის გზების მოხრეშვითი სამუშაოები.

აღნიშნული პროექტების შედეგად ქალაქის ტერიტორიაზე **50**-ზე მეტ ქუჩაში მოწესრიგდა გზის საფარი, **35**-ზე მეტს სასოფლო დასახლებებზე მოხდა გზების სრულად ან ნაწილობრივ აღდგენა, რამაც გაზარდა ქალაქსა და სოფელს შორის კომუნიკაცია და ხელი შეუწყო სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შემცირებას. უახლოეს პერიოდში იგეგმება **34,207** გრძივი მეტრი გზის საფარის მოწესრიგება, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში გადაადგილების ხარჯების შემცირებას და კომფორტის გაზრდას.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სარკინიგზო და საავტომობილო ჰაბს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, სადაც **2016** წლის **24** სექტემბრიდან ბაზირებულია ერთ-ერთი დაბალბიუჯეტის ავიაკომპანია. აეროპორტთან სიახლოვე ტურიზმის და სხვადასხვა ტურისტული მომსახურების განვითარების კარგ პერსპექტივას აჩენს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაზიდვას უზრუნველყოფს ორი კომპანია. კომპანიებს არ გააჩნიათ საკუთარი ავტო პარკი, ისინი გადაადგილებას უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით აყვანილი სატრანსპორტო საშუალებებით. კომპანიების მიერ ქალაქის ტერიტორიაზე შიდა რეისები სრულდება **9** მიმართულებით, ხოლო სოფლის ტერიტორიაზე რეისები სრულდება **32** მიმართულებით.

დღის განმავლობაში აღნიშნული კომპანიების მომსახურებით სარებლობს **870-900** მგზავრი. სატრანსპორტო საშუალებების საშუალო ასაკი რომელიც ემსახურება მგზავრთა გადაყვანას **7-15** წელია. დიდთოვლობის გამო ფერხდება ტრანსპორტის გადაადგილება მაღალმთიან სოფლებში. ტრანსპორტის რაოდენობა საკმარისია მუნიციპალიტეტისათვის. მუნიციპალიტეტი უახლოესი წლებში გეგმავს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას მაღალმთიან სოფლებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

წყალმომარაგება და კანალიზაცია - მუნიციპალიტეტში წყალმომარაგება ხორციელდება, როგორც ცენტრალური წყალგაყვანილობით, ასევე ხელოვნური ჭებით. ქალაქის ტერიტორია წყალმომარაგებას უზრუნველყოფს შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. მუნიციპალიტეტის სოფლები არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალიზებული წყალმომარაგებით. მთიან სოფლებში ხშირი იყო სასმელი წყლით მოწამვლის ფაქტები, ამ პრობლემის გადასაჭრელად ბოლო წლების განმავლობაში მაღალმთიან სოფლებში ყველა სათავე ნაგებობაზე დაიდგა საქლორატორები, მოხდა ავზების რეაბილიტაცია, შეკეთდა დაზიანებული წყლის მაგისტრალები. კანალიზაციის სისტემით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მცირე ნაწილი სარგებლობს, რისი მიზეზიც შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და დიდ ნაწილში არ არსებობა. კანალიზაციის სისტემა მოწყობილია მხოლოდ ქალაქის ტერიტორიის ნაწილზე.

ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა - სულ მუნიციპალიტეტში **21** პარკი და **5** სკვერია, რომლებშიც მცირე გასართობი ატრაქციონებია მოწყობილი. მათ ინტენსიურად უტარდებათ ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი რესურსი სრული მოწესრიგებისათვის.

მუნიციპალიტეტს შეუძლია შეასრულოს ჰაბის როლი თავისი მდებარეობიდან გამომდინარე (აეროპორტი, რკინიგზა, ცენტრალური საავტომობილო გზა), ასევე მუნიციპალიტეტს პერსპექტივაში შესაძლებელია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებით რეგიონისთვის და არამარტო რეგიონისთვის იქცეს სპორტული ტურიზმის ცენტრად. ამისათვის აუცილებელია თანამშრომლობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტული კომპანიებთან.

მნიშვნელოვანია ტურისტული საქმიანობით დაკავებული კომპანიების და ინდ მეწარმეების ხელშეწყობა ტურების დაგეგმვაში და ორგანიზებაში, ტურისტების მოზიდვასა და მომსახურებაში: ინფორმირება, განთავსება (სასტუმროები, სასტუმრო სახლები და ა. შ.), ვაჭრობა, საექსკურსიო მარშრუტების ორგანიზება და მომსახურება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ტურისტების მოზიდვისა და მუნიციპალიტეტში ჯანსაღი გარემოს შექმნის მიზნით ყოველწლიურად ხორციელდება გამწვანების სამუშაოები. ბოლო პერიოდში დაირგო **1,000**-მდე ხე, ძირითადად ეკალიპტისა და კაკლის. მომავალშიც დაგეგმილია გამწვანების მასშტაბური პროექტების განხორციელება.

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა არის მუნიციპალიტეტის საერთო ინფრასტრუქტურული მდგომარეობის (გზები, ენერგო და წყალმომარაგების სისტემა, სანიაღვრე არხები, საკომუნიკაციო სისტემა, ინტერნეტი და სხვ) გაუმჯობესება, რაც განვითარების პრიორიტეტად არის დასახული.

2.4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სამედიცინო დაწესებულებები, მათ შორის როგორც საავადმყოფო ასევე პოლიკლინიკები და ამბულატორიები. ასევე ფუნქციონირებს ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა სააფიაქო ქსელი, თუმცა ამ ეტაპზე საავადმყოფო დაწესებულებებში არ არის ყველა პროფილის ექიმი, მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალური პროგრამები, საყოველთაო ჯანდაცვა, ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა და სხვა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, ამავდროულად მუნიციპალიტეტშიც მოქმედებს ჯანდაცვისა და სოციალური კუთხით პროგრამები.

სოციალურად დაუცველთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომლითაც საშუალოდ წლიურად სარგებლობს **800** ადამიანი და აღნიშნული პროგრამაში ადგილობრივი ბიუჯეტი ხარჯავს **97,500** ლარს, გადაუდებელი ოპერაციებით დაფინანსება, რომლითაც წლიურად სარგებლობს **1000** ადამიანი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია **283700** ლარი. სხვადასხვა სოციალური მოწყვლადი ფენის დახმარება ფინანსური კუთხით, რომლითაც მოსახლეობას ეზრდება ხელმისაწვდომობა სხვადასხვა საჭირო მედიკამენტებზე. თუმცა არც ესაა საკმარისი საჭიროა კიდევ უფრო მეტი ფინანსური რესურსი სრულფასოვანი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობის კუთხით.

ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა - სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედებს **19** სამედიცინო დაწესებულება და **2** საავადმყოფო (შპს „ჯეო-ჰოსპიტალსი“, რომელიც გათვლილია **51** პაციენტზე და აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო ინვენტარით და შპს „ბავშვთა საავადმყოფო“), **2** პოლიკლინიკა და **13** ამბულატორია. არსებული სამედიცინო ინფრასტრუქტურა საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მიიღონ მაღალი დონის სამედიცინო დახმარება.

მუნიციპალიტეტში **13** ამბულატორია ფუნქციონირებს ჯამში **22** პერსონალით, რომლებიც მუნიციპალიტეტის სოფლებშია განლაგებული.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ახლო მდებარე მუნიციპალიტეტების (ახაშა, ხონი, ვანი, სენაკი, ჩოხატაური) მაცხოვრებლების საკმაოდ დიდი ნაწილი სამტრედიის სამკურნალო დაწესებულებებში დადიან სამედიცინო მომსახურების მისაღებად, რაც გამომდინარეობს იქედან, რომ მუნიციპალიტეტში სამედიცინო სფეროში მომუშავე პერსონალი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით, ხოლო სამკურნალო დაწესებულებები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.

სოციალური მომსახურეობა - სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა **2015** წლიდან **2018** წლის ბოლომდე შემცირდა **2%**-ით და მიაღწია **1,939** კაცს. რაც შეეხება პენსიის მიმღებთა რაოდენობას მოცემული დროის მონაკვეთში გაიზარდა **2%**-ით (**11,094** კაცი).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **2185** იძულებით გადაადგილებული პირია, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებების მუნიციპალური და სახელმწიფო საკუთრებაში არიან ჩასახლებული. ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს **3**, შშმ ბავშვთა დღის ცენტრით - **14**, ბავშვთა რეაბილიტაციით - **3**, ბავშვთა ადრეული განვითარებით - **5**, დედათა და ბავშვთა თავშესაფარით - **3**, ხოლო დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით - **3** ბენეფიციარი, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას

წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

აღსანიშნავია, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

2.5. განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის, როგორც პროფესიული, ასევე საშუალო და სკოლამდელი განათლება. საშუალო განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კეთილმოწყობა და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში არ არის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, ამიტომ ახალგაზრდები ძირითადად უმაღლესი განათლების ქუთაისსა და თბილისში იღებენ.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა - სამტრედიის მუნიციპალიტეტში **28** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება არის. აქედან **4** კერძო; **15** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება მდებარეობს ქალაქის ტერიტორიაზე, ხოლო **13** სოფლად. სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები გაერთიანებულია ააიპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში. ბაღებში დღეის მდგომარეობით **1700** აღსაზრდელია, გასულ **2017-2018** წელთან შედარებით აღსაზრდელთა რაოდენობა შემცირებულია **235** აღსაზრდელით (**2017-2018** წელს იყო **1935** აღსაზრდელი), სულ ბაღებში დღეის მდგომარეობით **317** პერსონალია, აქედან **24** მმართველი, **65** აღმზრდელი, **68** აღმზრდელის თანაშემწე, **63** მიძა-სანიტარი, **25** ექთანი, **25** მუსიკის პედაგოგი და **26** მზარეულია. სოფელ ღანიჩში აშენდა არსებულის ნაცვლად ახალი ბაღი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე მოთხოვნა მზარდია და ამ ეტაპზე არ არის საკმარისი, თუმცა **2019** წელს გაიხსნა ბაღი ქალაქის **#3** ბაგა-ბაღში ლაშა თევზაძის ქუჩაზე, რომელიც არის გათვლილი **50** ბავშვზე და სამომავლოდ იგეგმება კიდევ ერთი ბაღის მშენებლობა სოფელ ნოღაში რომელიც იქნება გათვლილი **35** ბავშვზე, ასევე იგეგმება სოფელ ნაბაკევში სამომავლოდ არსებულის ნაცვლად ახლის მშენებლობა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში **37** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლა არის, მათ შორის ორი კერძოა. საჯარო სკოლებიდან **14** მდებარეობს ქალაქის ტერიტორიაზე, **21** - სოფლად. ამ მომენტისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტში სკოლების რაოდენობა საკმარისია.

სკოლის შენობების მდგომარეობა ქალაქის ტერიტორიაზე დამაკმაყოფილებელია, სოფლების ტერიტორიაზე კი ყოველწლიურად მიმდინარეობს სკოლების რეაბილიტაცია. მოსწავლეთა რაოდენობა **6549**, მათ შორის **346** კერძო სკოლაში. საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო **3** წლის განმავლობაში შემცირებულია **43** ერთეულით, ხოლო კერძო სკოლაში გაიზარდა - **47** ერთეულით. მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს **885**, მათ შორის **67** კერძო სკოლაში. საჯარო სკოლის მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო **3** წლის განმავლობაში შემცირებულია **25** ერთეულით, ხოლო კერძო სკოლაში - მასწავლებელთა რაოდენობა არ შემცირებულა. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს **7.0**, რაც ბოლო **3** წლის განმავლობაში გაიზარდა **0,1**-ით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს დიდი ჯიხაიშის პროფესიული კოლეჯები. მათი საშუალებით სამტრედიის მოსახლეობას შეუძლიათ შეისწავლონ და კვალიფიკაცია აიმაღლონ 4 შემდეგ სპეციალობებზე; მევენახე-მებაღის, მეფუტკრის, ბუღალტრის და აიტი სპეციალისტის პროფესიებზე. სტუდენტთა მისაღები რაოდენობა 2019 წელს შეადგენს 80 სტუდენტს.

კულტურისა და სპორტის სერვისები - ქალაქში ფუნქციონირებს ეროსი მანჯგალადის სახელობის თეატრი რომელიც ყოველწლიურად მართავს სპექტაკლებს და ხელს უწყობს ქალაქში კულტურის პოპულარიზებას.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სამხატვრო სკოლა, რომელშიც 8 პედაგოგი და 186 ბავშვია, რომლებმაც არა ერთ გამოფენაზე მიიღეს მონაწილეობა და წარმატებას მიაღწიეს, ასევე ფუნქციონირებს ოთხი სამუსიკო სკოლა 308 მოსწავლით და 39 პედაგოგით, ორი სახელოვნებო სკოლა, რომლებშიც სულ 41 პედაგოგია და 363 მოსწავლე.

სამტრედიაში მდებარეობს ეროსი ნაჯგალადის სახელობის სტადიონი, რომელიც იტევს 1,800 მაყურებელს. ასევე სპორტული კომპლექსი, სადაც ფიტნეს კლუბი და საცურაო აუზია. მუნიციპალიტეტში შექმნილია გუნდური სახეობის 3 კლუბი (ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის). ასევე ინდივიდუალური სპორტის (ჭიდაობის, კარატეს და ჭადრაკის კლუბები) და საცხენოსნო სპორტული კლუბი; მუნიციპალიტეტი სპორტის განვითარების კუთხით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს, აფინანსებს თითოეულ სპორტულ დაწესებულებებს და მაქსიმალურად ცდილობს მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

მუნიციპალიტეტში სპორტული და კულტურული დაწესებულებების რაოდენობა საკმარისია თუმცა საჭიროა მათი ინფრასტრუქტურული მოწესრიგება, როგორც მინი საფეხურთა მოედნების, ასევე საჭიდაო დარბაზების, კულტურული ცენტრის, მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ცდილობს განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები, მოხდა რამდენიმე კულტურული დაწესებულების რემონტი, თუმცა მუნიციპალიტეტის გამგეობის რესურსი არაა საკმარისი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ხდება კულტურისა და სპორტის სფეროში წარმატებული ადამიანების წახალისება და მხარდაჭერა.

2.6. გარემოს დაცვა

სამტრედიის ადმინისტრაციულ ერთეულში მთავარი (ტრანზიტული) მდინარეა რიონი, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიას თითქმის ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. მისი სიგრძე ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში 35 კმ-ია. მდინარის მარჯვენა შენაკადებია ცხენისწყალი, გუბისწყალი და ჭურთავა, ხოლო მარცხენა შენაკადებია ჭოგნარა, ხევისწყალი და სხვა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას ტყეებთან დაკავშირებით, რადგან სატყეოს მართვა-განკარგვის საკითხებში ადმინისტრაციულ ერთეულს არავითარი ფუნქცია არ აქვს, სამუშაო ჯგუფის მიერ სახელდება მხოლოდ ტყის საერთო ფართობი, რომელიც მათი მონაცემით შეადგენს 6,554 ჰა-ს, მათ შორის სამრეწველო ტყე 400 ჰა-ია.

ბუნებრივი საფრთხეებიდან მუნიციპალიტეტისათვის სახასიათოა ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, მდინარის ნაპირების ეროზია და გვალვა. მეწყერმა ძირითადად დააზიანა საცხოვრებელი და განაშენიანებული მიწები, ხოლო წყალდიდობების

შედეგად მდინარის ნაპირები და ჭალები ზიანდება. მეწყერსაშიშ ზონაში მდებარეობს მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლები.

მუნიციპალიტეტის დასახლებები არ არის სრულად უზრუნველყოფილი ცენტრალიზებული წყალმომარაგებით, არსებული სისტემების მდგომარეობა საშუალოა. საკანალიზაციო კოლექტორები აქვს ქალაქ სამტრედიას, მაგრამ გამწმენდი ნაგებობა არ ფუნქციონირებს, შესაბამისად ბინმურდება მდინარე რიონი.

ნარჩენების შეგროვებასა და გატანას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის **33% (16,038 მოსახლე)**. მუნიციპალიტეტში არსებობს ლიცენზირებული ნაგავსაყრელი, რომელიც განთავსებულია სოფელ დაფნარაში. ნაგავსაყრელზე ყოველწლიურად განთავსდება **22,608 მ3** ნარჩენი.

მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა არალეგალური ნაგავსაყრელებიც. ამის ძირითადი მიზეზი გამოწვეულია იმით რომ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია შესაბამისი რაოდენობის სპეც. სატრანსპორტო საშუალებები და სანაგვე ურნები რაც შესაბამისად იწვევს სოფლებში არალეგალური ნაგავსაყრელების წარმოქმნას. საჭიროა შესაბამისი სპეც. ავტოტექნიკისა და სანაგვე კონტეინერების დამატება.

ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს **1.41 მ3**. მოქმედებს დასუფთავების კონტეინერული სისტემა - **100%**. კონტეინერების საერთო რაოდენობა შეადგენს **170** ცალს, საიდანაც **118** ლითონისაა, ხოლო **52** პლასტმასის. ნაგავმზიდი მანქანების საერთო რაოდენობა შეადგენს **5** ერთეულს, საიდანაც **3** კომპაქტორია, ხოლო **2** თვითმცლელი. სპეც-ავტომეურნეობებს სამრეცხაო არ გააჩნიათ რაც იწვევს გარემოს დაბინძურებას. მუნიციპალიტეტში ნარჩენების მიმართულებით წლიურად **327,000** ლარი გამოიყოფა, მთლიანი დაგეგმილი ბიუჯეტის **2,23 %**.

2.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც იქ მცხოვრებ **4,500**-ზე მეტ მომხმარებელს და მიმდებარე სოფლის მოსახლეობას ემსახურება. ცენტრში მუშაობს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. აქვე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკაც. საზოგადოებრივი ცენტრების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეეძლება.

